ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით

გიწვევთ
ოჯახში ძალადობის თემაზე იმიტირებულ სასამართლო პროცესში
მონაწილეობის მისაღებად

ოჯახში ძალადობის თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზანია:

- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გარშემო აკადემიური დებატის წახალისება საქართველოში

  და
- სტუდენტების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ; სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების განვითარება; სტუდენტებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში აკრედიტებული ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს. ერთი უნივერსიტეტიდან ერთზე მეტი გუნდის დარეგისტრირება დაშვებულია.

იმიტირებული სასამართლო პროცესის ტურნირის განრიგი:

15 თებერვალი, 2019, 18:00 სთ - გუნდების რეგისტრაციის ბოლო ვადა;

18 თებერვალი, 2019, 20:00 სთ - დარეგისტრირებული გუნდებისთვის საქმის ელექტრონულად მიწოდება;

20 თებერვალი, 2019, 18:00 სთ - დამაზუსტებელი კითხვების საორგანიზაციო ჯგუფისთვის გაგზავნა;

22 თებერვალი, 2019, 20:00 სთ - საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დამაზუსტებელ კითხვებზე ყველა ჯგუფისთვის პასუხის გაგზავნის ბოლო ვადა (პასუხების გაგზავნა მოხდება კითხვების შემოსვლის პარალელურად, არა ბოლო დღეს)

7 მარტი, 2019, 18:00 სთ - საქმის წერილობითი მონახაზის გუნდების მიერ წარმოდგენის ბოლო ვადა;

13 მარტი, 2019, 18:00 სთ - ზეპირ რაუნდში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული გუნდებისთვის შეტყობინების (მათ შორის ზეპირ რაუნდში გუნდის მიერ წარმოსადგენი პოზიციის შეტყობინების) ბოლო ვადა.

16 მარტი, 2019, 10:00 სთ - ზეპირი რაუნდი.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ოჯახში ძალადობის თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის წესები იხილეთ შემდეგ ბმულზე - "წესები".

ზეპირ რაუნდში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდ(ებ)ის მგზავრობის, ცხოვრების და კვების ხარჯებს დაფარავენ ღონისძიების ორგანიზატორები.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: chikhladze@gyla.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia